პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 19 (11325)
ხუთშაბათი
22
იანვარი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან

მოხსკოვის უნივერსიტეტის კულტურის სახლის კლუბში ლენინის გორაზე 20 იანვარს გამართა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ სტუდენტთა სალამო.

სალამოზე კურსდამთავრებულებს, მათი თხოვნით, ეწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი.

ახალგაზრდა ფიზიკოსებს, რომლებმაც ეს ეს არის მიიღეს დიპლომები, გულთბილად მიულოცეს უნივერსიტეტის კურსის დამთავრება ფიზიკის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ვ. ს. ფურსოვმა, უნივერსიტეტის რექტორმა ი. გ. პეტროვსკიმ, კოსმა ი. გ. პეტროვსკიმ.

სახალხო სიტყვა კურსდამთავრებულთა სახელით წარმოთქვეს ვიაჩესლავ პისმენიმ, სვეტლანა პოპოვამ, ჩინელმა სტუდენტმა — კურსდამთავრებულმა ჭენ ჩუნ-ცინმა.

შემდეგ გამოვიდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც ყველა დამსწრე გულთბილად შეხვდა. მან მიულოცა ახალგაზრდა სპეციალისტებს და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა. (საკდესი).

1959 წელს ხორცის წარმოება გავაორმაგოთ ერთიორად და რძის წარმოება ერთნახევარჯერ 1958 წელთან შედარებით

მარნეულის რაიონის კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშათა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სოციალისტური ვალდებულებანი მეცხოველეობის განვითარების დარგში

ძვირფასო ამხანაგებო!

კომუნისტური პარტიის და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, გახორციელა ისეთი გრანდიოზული გარდაქმნები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობას აძლევენ შეგიდეს განვითარების ახალ უმნიშვნელოვანეს პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ, სულით და გულით იწონებს კომუნისტური მშენებლობის დიად პროგრამას, რომელიც ჩამოყალიბებულია პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში, და გამოთქვამს მზადყოფნას არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულოს შვიდწლიანი გეგმის დავალებანი.

ჩვენი პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, კომუნისტური მშენებლობის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს, რომლის მუშაობა პარტიის პოლიტიკური ანგარიში იყო ხალხის წინაშე ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის მდგომარეობისათვის.

ჩვენი დიადი სამშობლოს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელთან ერთად უკანასკნელი წლების მანძილზე, როგორც ეს ცხადყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართულმა პლენუმმა და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობამ, ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სერიოზული წარმატებები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში.

ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმის, ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმებისა და პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და მუდმივი დახმარებით დადებითს შედეგებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და დამზადება. 1958 წელს ჩვენმა რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა თამბაქო 1,8-ჯერ მეტი, ბოსტნეული — 4-ჯერ, რძე — 4.2-ჯერ, ხორცი — 1,7-ჯერ მეტი, ვიდრე 1953 წელს. მკვეთრად გადიდდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის, უწინარეს ყოველისა მერძეული მეცხოველეობის პროდუქტიულობა. 1953 წელს კოლმეურნეობებში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებული იყო 725 კილოგრამი რძე, ხოლო 1958 წელს — 1.200 კილოგრამი ანუ 63 ცენტნერი 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

განმტკიცდა არტელების ეკონომიკა, გაუმჯობესდა კოლმეურნეთა კეთილდღეობა. 1953 წელთან შედარებით კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი გადიდდა ერთიორად, განუყოფელი ფონდები — 1,5-ჯერ. უკანასკნელ ხუთ წელიწადში რაიონის კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის მრავალი სადგომი და სასილოსე ნაგებობა ააშენეს, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს საკვები ბაზის განსამტკიცებლად, უწინარეს ყოვლისა სიმინდის ხარჯზე.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში გაიზარდნენ მოწინავეთა შესანიშნავი კადრები. რაიონის ბევრი მწველავი საშუალოდ ერთ ძროხაზე 3 ათას კილოგრამზე მეტ რძეს იღებს. მათ შორის არიან ლალაზ ალი ყზი ისმაილოვა სეიდლოვის სახელობის კოლმეურნეობიდან. ფომფულ რზა ყზი და ზივარ მამედ ჰასან ყზი კოლმეურნეობა „კომუნიზმიდან“, შუშანიკ სარუხანის ასული ზანგინიანი დაბა შაუმიანის კოლმეურნეობიდან და ბევრი სხვ.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ რაიონის კოლმეურნეობების მიერ მიღწეული შედეგები მხოლოდ დასაწყისია იმ უდიდესი მუშაობისა, რომელიც ჩვენ უნდა განვახორციელოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი, კიდევ უფრო მძლავრი აღმავლობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილება, შვიდწლიანი გეგმის დიდებული პერსპექტივები გვავალებენ კიდევ უფრო ბეჯითად და მტკიცედ ვიმუშაოთ, რათა მივაღწიოთ ახალ წარმატებებს.

გამოვიანგარიშეთ რა ჩვენი რეზერვები და შესაძლებლობანი, გადავწყვიტეთ უკვე 1959 წელს — შვიდწლედის პირველ წელს მკვეთრად გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და ამით ჩვენი ღირსეული წვლილი შევიტანოთ იმ ამოცანის გადაწყვეტაში, რომ დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

მიმდინარე წელს ამოცანად ვისახავთ გავადიდოთ ხორცის წარმოება სულ ცოტა ერთიორად. 100 ჰექტარ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ვაწარმოოთ 56 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 1958 წელს მიღებული 28 ცენტნერისა. ხოლო რძის წარმოებ 100 ჰექტარ მიწაზე ავიყვანოთ 95 ცენტნერამდე ნაცვლად 63 ცენტნერისა.

ჩვენს რაიონში უკვე გაჩაღდა მუშაობა რაიონის კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირად სარგებლობაში არსებული პირუტყვის შესასყიდად.

გადავწყვიტეთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ყოველწლიურად გადიდებით ხორცის წარმოება 1965 წელს 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ავიყვანოთ 200 ცენტნერამდე, ხოლო რძის წარმოება — 440 ცენტნერამდე.

იმისათვის, რომ გავადიდოთ ხორცისა და რძის წარმოება, ამ წლიდან დაწყებული მკვეთრად უნდა გავზარდოთ დედა პირუტყვის სულადობა.

თუ 1959 წლის 1 იანვრისათვის რაიონის კოლმეურნეობებში იყო 3.500 ძროხა, 958 დედა ღორი და 38.195 დედა ცხვარი, **მიმდინარე წლის დამლევისათვის ძროხის სულადობას ავიყვანთ 5.000-მდე, დედა ღორისა (ძირითადი და ერთჯერადი) — 5.000-მდე, დედა ცხვრისა — 40.000-მდე. ხოლო 1965 წელს ვვარაუდობთ გვყავდეს: 11.000 ძროხა, 12.500 დედა ღორი და 60.000 დედა ცხვარი.**

1959 წელს გავასუქებთ 3.000 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს თვითეულს სულ ცოტა 220 კილოგრამი საშუალო წონით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცი წარმოებული იქნება სულ 660 ტონა. გავასუქებთ 17.000 ღორს, თვითეულს სულ ცოტა 80 კილოგრამი საშუალო წონით, რაც მოგვცემს 1.360 ტონა ხორცს. საძოვარზე და ბაგაზე გასუქებისათვის გამოვყოფთ 24.000 ცხვარს, რაც მოგვცემს 600 ტონაზე მეტ ცხვრის ხორცს.

ჩვენ ვვარაუდობთ წელს მკვეთრად გავადიდოთ ფრინველის, განსაკუთრებით მცურავი ფრინველის გაზრდა სახორციდ. **გადაწყვეტილი გვაქვს გავასუქოთ 400 ათასი ფრთა ფრინველი, რაც 600 ტონაზე მეტ ხორცს მოგვცემს.**

ვკისრულობთ რა ვალდებულებას მკვეთრად გავადიდოთ ხორცის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა, ამავე დროს უზრუნველვყოფთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, ღორისა და ფრინველის სულადობის შემდგომ ზრდას, რათა შვიდწლედის შემდგომ წლებში განუხრელად ვზრდიდეთ ხორცის წარმოებას. **1965 წლისათვის გავასუქებთ 9.000-მდე სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, 78.750-მდე ღორს, 50.000 ცხვარს და 1.312.500 ფრთა ფრინველს, რაც 12.500 ტონაზე მეტ ხორცს მოგვცემს.**

ამ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება მოითხოვს მტკიცე საკვები ბაზის შექმნას თვითეულ კოლმეურნეობაში. ამისათვის ჩვენ ყველა პირობები გვაქვს. მკვეთრად გავადიდებთ საკვები კულტურების, განსაკუთრებით სიმინდის ფართობებს. **1965 წელს სიმინდის ფართობებს გავადიდებთ 12.000 ჰექტარამდე ნაცვლად 1958 წლის 4.300 და 1959 წლის 6.000 ჰექტარისა. სიმინდის მოსავლიანობას თვითეულ ჰექტარზე ავიყვანთ 30 ცენტნერამდე და მწვანე მასის მოსავლიანობას ტაროიანად სულ ცოტა 400 ცენტნერამდე. ყოველწლიურად დავამზადებთ სულ ცოტა 15 ტონა სილოსს თვითეულ ძროხაზე.**

პირუტყვის სულადობის გადიდება, მეცხოველეობის ახალი სადგომების დიდ მშენებლობას მოითხოვს. ჩვენ გადავწყვიტეთ 1963 წლამდე რაიონის კოლმეურნეობებში **ავაშენოთ სადგომები 10.000 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, საღორეები — 12.000 ღორისათვის.** აშენდება ახალი საზაფხულო ბანაკები ღორებისა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასასუქებლად, აგრეთვე საფრინველეები საჭირო რაოდენობით.

ჩვენმა მოწინავე კოლმეურნეობებმა კიდევ უფრო გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ, რომლის თავმჯდომარეა სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის დელეგატი ამხ. კახრამან მუსა ოღლი შაბანოვი, ვალდებულება იკისრა 1963 წლამდე შეასრულოს შვიდწლიანი გეგმა, 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოოს 220 ცენტნერი ხორცი, 490 ცენტნერი რძე. 1961 წლამდე პირუტყვის მთელი სულადობა უზრუნველყოფილ იქნება სტანდარტული სადგომებით; დაითესება 600 ჰექტარამდე სიმინდი და საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნება 40 ცენტნერი მარცვლად. ნავარაუდევია თვითეულ ძროხაზე ჩადონ 20 ტონა სილოსი.

სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ფაშა ნამაზ-ოღლი ბაგიროვი) ვალდებულება იკისრა 1962 წლამდე შეასრულოს შვიდწლიანი გეგმა, 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოოს 225 ცენტნერი ხორცი და 630 ცენტნერი რძე. გადაწყვეტილი აქვთ 1962 წლამდე დაამთავრონ პირუტყვის სადგომების მშენებლობა ყველა შრომატევადი სამუშაოს სრული მექანიზაციის გათვალისწინებით. სიმინდის ფართობი აიყვანონ 400 ჰექტარამდე და საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 40 ცენტნერი მარცვლად. თვითეულ ძროხაზე დაამზადონ 20 ტონა სილოსი.

კოლმეურნეობა „კომუნიზმმა“ (თავმჯდომარე ამხ. ახრათ ჯალალ ოღლი ისმაილოვი) ვალდებულება იკისრა შვიდწლიანი გეგმა შეასრულოს 1962 წლისათვის, 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოოს 213 ცენტნერი ხორცი და 580 ცენტნერი რძე. 1962 წლამდე პირუტყვის მთელი სულადობა უზრუნველყოს სტანდარტული სადგომებით. სიმინდის ფართობი აიყვანოს 700 ჰექტარამდე და საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 40 ცენტნერი მარცვლად. თვითეულ ძროხაზე დაამზადოს 20 ტონა სილოსი.

ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ათან აივაზის-ძე აივაზოვი) ვალდებულებას კისრულობს შვიდწლიანი გეგმა შეასრულოს 1962 წლისათვის, 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოოს 210 ცენტნერი ხორცი და 550 ცენტნერი რძე. ამავე ვადისათვის ააშენოს საძროხე 400 სულისათვის, განახორციელოს პირუტყვის ყველა სადგომში სამუშაოთა მექანიზაცია. სიმინდის ფართობი აიყვანოს 1.200 ჰექტარამდე და საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 35 ცენტნერი მარცვლად. თვითეულ ძროხაზე დაამზადოს 20 ტონა სილოსი.

დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ჰუსეინ მეხტი ოღლი ჰუსეინოვი) ვალდებულება იკისრა შვიდწლიანი გეგმა შეასრულოს 1962 წლისათვის, 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოოს 220 ცენტნერი ხორცი და 530 ცენტნერი რძე, 1961 წლისათვის დაამთავროს საღორის მშენებლობა 120 დედა ღორისათვის, საძროხისა — 100 სულისათვის, საფრინველისა — 5.000 ფრთისათვის და განახორციელოს ყველა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. სიმინდის ფართობი აიყვანოს 400 ჰექტარამდე და საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 35 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. თვითეულ ძროხაზე დაამზადოს 20 ტონა სილოსი.

ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ბაქირ ნოვრუზ ოღლი ბაქიროვი) ვალდებულება იკისრა შვიდწლიანი გეგმა შეასრულოს 1962 წლისათვის, 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოოს 220 ცენტნერი ხორცი და 540 ცენტნერი რძე, 1961 წლისათვის ააშენოს საღორე 200 დედა ღორისათვის, საძროხე — 120 სულისათვის, ფარეხი — 2.500 სული ცხვრისათვის, საფრინველე — 10.000 ფრთისათვის და განახორციელოს ყველა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. სიმინდის ფართობი აიყვანოს 300 ჰექტარამდე და საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 40 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. თვითეულ ძროხაზე ჩადოს 20 ტონა სილოსი.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე დაბა შაუმიანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ, კოლმეურნეობა „ოქტომბრის 17 წელმა“, ილიჩის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის საჭირო იქნება დიდი მუშაობა. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ არ დავიშურებთ ძალღონესა და შრომას. მტკიცედ ვიბრძოლებთ შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ამხანაგო კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშებო და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! მოგიწოდებთ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა უსწრაფესად განხორციელებისათვის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მკვეთრად გადიდებისათვის.

ეს იქნება ჩვენი წვლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებაში.

მიმართვა განხილული და ერთხმად მიღებულია მარნეულის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე.

საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავად

აგურის გამომწველი

საუბარი ჭარხნის მოწინავე ადამიანებს შეეხებოდა.

— აი ისინი! — გვითხრა ჭარხნის მთავარმა ინჟინერმა როსტომ კილასონიძემ. ჭარხნის შესასვლელთან მოწყობილ სატრიბუნო დაფას რომ მივუახლოვდით.

ვუცქერით შრომის წარჩინებულ ადამიანთა პორტრეტებს, ვკითხულობთ წარწერებს. ჭარხნის დირექციასა და პროფკავშირის საჭარხნო კომიტეტს ამ დაფაზე შეუტანიათ მხოლოდ ისინი, რომლებიც გეგმებს ერთნახევარჯერ და მეტად ასრულებენ.

„აგურის გამომწველი სოლომონ გეჯაძე. გეგმებს ანაღდებს 180-200 პროცენტით“. ამოვიკითხეთ ერთ-ერთი პორტრეტის ქვეშ.

— სოლომონი რაციონალიზატორიც არის,—თქვა მთავარმა ინჟინერმა და განაგრძო:

— გამომწვარი აგურის გამოტანისას ზოგჯერ ღუმელის კედელსა და ვაგონს შუა იჭედებოდა აგური. გეჯაძის რაციონალიზატორული წინადადებით ღუმელებზე მოეწყო „ფანჯრები“, რომლებიდანაც ღუმელის კედლებსა და ვაგონს შუა შემთხვევით მოხვედრილი აგური გარეთ ვარდება.

...ს. გეჯაძე ღუმელში ტემპერატურას არეგულირებდა ფრქვევანებზე მოწყობილი ონკანებით.

— გამოცდილი გამომწველი თვალით ამჩნევს გამოწვის მიმდინარეობის ხარისხს, — განგვიმარტა წარმოების უფროსმა გრიგოლ ჭუმბურიძემ, სანამ გეჯაძეს გამოვესაუბრებოდით.

— რით აღწევთ აგურის გამოწვის მაღალ ხარისხს? —ვკითხეთ სოლომონს.

— აგური ხარისხიანი გამოდის, თუ მისი გამოწვა თანაბრად მიმდინარეობს. ცხრა წლის მუშაობის პრაქტიკით დავრწმუნდი, რომ უმჯობესია 900-950 გრადუსზე გამომწვარი აგური. ასეთი ტემპერატურის შენარჩუნება კი ადვილია წვის მთელ პროცესში მაერისა და მაზუთის სწორი რეგულირებით.

თითო ღუმელს ორი გამომწველი ემსახურება. სოლომონს არ ჩამორჩება მისი მეწყვილე ილია მამულაშვილიც. ილიაც ყოველდღიურ გეგმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს.

მეტების აგურის ჭარხანა რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებშია. ჭარხნის კოლექტივის საერთო წარმატებაში თავისიანი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ გამომწველ სოლომონ გეჯაძეს და მის ცვლაში მომუშავე გამომწველებს აბრამ ოთიაშვილს, ვასილ გასიევს, მიხეილ შარიფაშვილს და მიხეილ ზაქაძეს. დგებან რა სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, ისინი ყოველდღიურად ახალ შრომითს გამარჯვებებს აღწევენ.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

დიდძალი ნართი, წინდები

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საწარმოებში, საამქროებსა და ბრიგადებში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. კომბინატის მრავალი მოწინავე მუშა დგას ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს შრომაში.

როგორი წარმატებები მოიპოვა კომბინატის კოლექტივმა შვიდწლედის პირველ დღეებში? —ვკითხეთ კომბინატის პარტბიუროს მდივანს ამხ. თ. გოროგაძეს.

— ჩვენი კომბინატის კოლექტივმა,— თქვა მან, — იანვრის პირველი ნახევრის გეგმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია დიდძალი ნაგრები ნართი, მზა ნართი, მაღალ და დაბალყელიანი ქალის წინდები და ა. შ. საერთოდ კომბინატის კოლექტივმა ნახევარი თვის გეგმა 103 პროცენტით გაანაღდა.

საწარმოო დავალებათა შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ის ბრიგადები, რომლებსაც ზ. ხუბაშვილი, ლ. დუბჩენკო, ც. ნაცვლიშვილი ხელმძღვანელობენ. იბრძვიან რა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელის მოპოვებისათვის, ისინი ყოველდღიურ დავალებებს 120-135 პროცენტით ასრულებენ.

კომბინატის კოლექტივი ამთავითვე აჩაღებს ბრძოლას იმისათვის, რომ წლიური დავალება ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულოს, ხოლო შვიდწლედის გეგმა ერთი წლით ადრე გააჭრდოს.

რ. შავიშვილი.

ყველა დარგის აღმავლობისათვის

ჭითაწყაროს კოლმეურნეები (ზუგდიდის რაიონი) სასახელო მაჩვენებლებით ხვდებიან პარტიის XXI ყრილობას. შარშან საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 315 ტონა ჩაის ფოთოლი და ამით წლიურ გეგმას მნიშვნელოვნად გადააჭარბეს. ჰექტარზე მიიღეს 3.710 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

კარგი მაჩვენებლები აქვთ სიმინდის მოსავლიანობის გადიდების საქმეშიც. 1957 წელთან შედარებით შარშან საშუალოდ ჰექტარზე სიმინდის მოსავლიანობა გაზარდეს 16 ცენტნერით. ასევე უზრუნველყვეს აყორწინისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღება.

კოლმეურნეობის (თავმჯდომარე პ. ბელქანია) მოწინავე ბრიგადებმა, რომლებსაც კომუნისტები იროდი ქანთარია, იპოლიტე ანთია და ბოჩია უბლავა ხელმძღვანელობენ, ნოვატორთა გამოცდილებისა და აგროღონისძიებათა პროგრესული მეთოდების გამოყენებით შარშან ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გეგმა ორმაგად შეასრულეს.

სკკპ XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებით აღფრთოვანებული კოლმეურნე გლეხები ახლა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობა. მათ გადაწყვეტეს წელს სამუალოდ ჰექტარზე მიღონ 4 ათასი კილოგრამი ჩაი, 25 ცენტნერი სიმინდი, ყოველ საფურაჟე ძროხაზე — 1.200 ლიტრი რძე.

ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად სულ უფრო ძლიერდება მინდვრის სამუშაოები. მთლიანად დამთავრდა საყანე ფართობების პირველი ხვნა, ათვისებულია 35 ჰექტარი ყამირი მიწა, სადაც საზოგადოებრივი მეცხოველეობის უზრუნველსაყოფად დაითესება სასილოსე სიმინდი.

შ. ზანათელი.

ავანგარდშია ახალგაზრდობა

ჭარხანა „ელექტრომამშვების“ კოლექტივმა, რომლის წევრები ძირითადად ახალგაზრდები არიან, ვადაზე ერთი თვით ადრე გაანაღდა პროდუქციის გამოშვების გასული წლის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 60 ათასი ცალი ელექტრომამშვები.

ახალგაზრდული ჭარხნის კოლექტივი კიდევ უფრო ნაყოფიერად შრომობს იანვარში, ღირსეულ საწარმოო საჩუქრებს უმზადებს პარტიის XXI ყრილობას. ყოველდღიურ დავალებებს 150-200 პროცენტით ასრულებენ ის ბრიგადები, რომლებსაც მ. ბუჩუნტელი, ზ. აბდალოვა და მ. გორგიშელი ხელმძღვანელობენ. ბეჯით შრომაში დაწინაურდნენ ი. ახალბედაშვილი, ნ. ორჯონიკიძე, ც. ცერცვაძე, რ. ხაჩიძე, გ. ელბაქიძე და სხვები, რომლებიც ცვლაში სისტემატურად ორ-სამ ნორმას ასრულებენ.

ჭარხნის კოლექტივი განუხრელად აფართოებს გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტს. წელს აქ აითვისებენ და გამოუშვებენ ორი ახალი სახის ელექტრომამშვებს, აგრეთვე მაგიდის ნათურებს და სამგზავრო უთოებს.

ლ. ხვიჩია.

დიდძალი ნართი, წინდები

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საწარმოებში, საამქროებსა და ბრიგადებში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. კომბინატის მრავალი მოწინავე მუშა დგას ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს შრომაში.

როგორი წარმატებები მოიპოვა კომბინატის კოლექტივმა შვიდწლედის პირველ დღეებში? —ვკითხეთ კომბინატის პარტბიუროს მდივანს ამხ. თ. გოროგაძეს.

— ჩვენი კომბინატის კოლექტივმა,— თქვა მან, — იანვრის პირველი ნახევრის გეგმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია დიდძალი ნაგრები ნართი, მზა ნართი, მაღალ და დაბალყელიანი ქალის წინდები და ა. შ. საერთოდ კომბინატის კოლექტივმა ნახევარი თვის გეგმა 103 პროცენტით გაანაღდა.

საწარმოო დავალებათა შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ის ბრიგადები, რომლებსაც ზ. ხუბაშვილი, ლ. დუბჩენკო, ც. ნაცვლიშვილი ხელმძღვანელობენ. იბრძვიან რა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელის მოპოვებისათვის, ისინი ყოველდღიურ დავალებებს 120-135 პროცენტით ასრულებენ.

კომბინატის კოლექტივი ამთავითვე აჩაღებს ბრძოლას იმისათვის, რომ წლიური დავალება ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულოს, ხოლო შვიდწლედის გეგმა ერთი წლით ადრე გააჭრდოს.

რ. შავიშვილი.

მეოთხეკლასელი მავლელები შრომითს ვახტზე

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ორთქლმავლების ამწყობი საამქროს კოლექტივი ახალ საწარმოო გამარჯვებებს აღწევს პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. საამქროს კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის გადამეტებით შეაკეთოს ორი ორთქლმავალი, ხოლო თებერვლის ანგარიშში დაამუშაოს ერთი ორთქლმავალი. ამ ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის საამქროში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება, რომლის მაჩვენებლები ყოველდღიურად იკვრება სპეციალურ დაფაზე.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს აღწევს ის ბრიგადა, რომელსაც ლ. მარგიშვილი ხელმძღვანელობს. მუშაობს რა 1965 წლის ანგარიშში, ბრიგადა ყოველდღიურ დავალებებს 400-430 პროცენტით ასრულებს. კარგი მაჩვენებლები აქვთ ვ. კოკოშვილისა და ვ. ევდოკიმოვის ბრიგადებსაც.

ა. ლორია,
ორთქლმავლების ამწყობი საამქროს ოსტატი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამერიკელი საზოგადო მოღვაწეები უილიამ დიუბუა და შირლი გრეჰემი

20 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო თვალსაჩინო ამერიკელი საზოგადო მოღვაწე, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი დოქტორი უილიამ დიუბუა და ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი მწერალი ქალი შირლი გრეჰემი, რომლებიც სსრ კავშირში არიან საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწვევით.

საუბარში, რომელმაც დიდი გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, შეეხნენ მშვიდობისათვის, ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის საარსებო საკითხს. გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება, რომ საჭიროა გაფართოვდეს ამერიკელი და საბჭოთა ხალხების მეგობრული ურთიერთობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის. შირლი გრეჰემმა ილაპარაკა თავის შთაბეჭდილებაზე აფრიკის ქვეყნების ხალხთა კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა აკრში.

საუბარს დაესწრო საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი მ. ი. კოტოვი.

ა. ი. მიქოიანი ვაშინგტონიდან გაემგზავრა

ვაშინგტონი, 20 იანვარი (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, რომელიც აქ არაოფიციალური ვიზიტით იმყოფება, ვაშინგტონიდან ნიუ-იორკს გაემგზავრა, საიდანაც სამშობლოში წავა.

ამხანაგი ა. ი. მიქოიანი ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოემგზავრა

ნიუ-იორკი, 20 იანვარი (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები სკანდინავიის ავიახაზის თვითმფრინავით ნიუ-იორკიდან სამშობლოში გაფრინდნენ.

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის გეგმა

აფხაზეთის მეთამბაქოეობის კოლმეურნეობებმა, რომლებიც იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის 1958 წლის მოსავლის თამბაქოს მიყიდვის გეგმა. მიყიდულია 7.856,5 ტონა თამბაქო, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 7.800 ტონა.

გრძელდება სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვა. (საქდესი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 28 მუხლისა და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 25 და 26 მუხლების საფუძველზე შეიქმნას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შემდეგი საარჩევნო ოლქები:

ქალაქი თბილისი

ლენინის რაიონი

1. **საჭარხნო საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ავჭალის გზატკეცილი № 84, ელმავლების სამშენებლო ქარხნის სამმართველოს შენობა).

საზღვრები: მდინარე გლდანი ქალაქის საზღვრიდან მდინარე მტკვრამდე, მდინარე მტკვარი მდინარე გლდანიდან ღრმაღელის ხევამდე, ღრმაღელის ხევი მდინარე მტკვრიდან ავჭალის გზატკეცილამდე, ავჭალის გზატკეცილის ლუწი ნომრები ღრმაღელის ხევიდან ლიახვის ქუჩამდე, ლიახვის ქუჩის კენტი ნომრები ავჭალის გზატკეცილიდან ჩარგალის ქუჩამდე, ჩარგალის ქუჩის ლუწი ნომრები ლიახვის ქუჩიდან მუხრანის ქუჩამდე, მუხრანის ქუჩის ლუწი ნომრები ჩარგალის ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვარი მუხრანის ქუჩიდან მდინარე გლდანამდე.

2. **ღრმაღელის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — გუდამაყრის ქ. № 8, მე-15 საშუალო სკოლის შენობა).

საზღვრები: მუხრანის ქუჩის კენტი ნომრები ჩარგალის ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვარი მუხრანის ქუჩიდან ელმავლის 1-ლ შესახვევამდე, ელმავლის 1-ლი შესახვევის ლუწი ნომრები ქალაქის საზღვრიდან სტახანოვის ქუჩამდე, სტახანოვის ქუჩის ლუწი ნომრები ელმავლის 1-ლი შესახვევიდან ოქტომბრის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის კენტი ნომრები სტახანოვის ქუჩიდან ღრმაღელის ქუჩამდე, ავჭალის გზატკეცილის კენტი ნომრები ღრმაღელის ხევიდან ლიახვის ქუჩამდე, ლიახვის ქუჩის კენტი ნომრები ავჭალის გზატკეცილიდან ჩარგალის ქუჩამდე, ჩარგალის ქუჩის ლუწი ნომრები ლიახვის ქუჩიდან მუხრანის ქუჩამდე, მუხრანის ქუჩის კენტი ნომრები ჩარგალის ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვარი მუხრანის ქუჩიდან მდინარე გლდანამდე.

3. **რკინიგზის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ტროკოტაჟის ქ. № 3, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კულტურის სახლი).

საზღვრები: მსროლელთა ხევის მარჯვენა მხარე რკინიგზის ლიანდაგიდან ავჭალის გზატკეცილამდე, ავჭალის გზატკეცილის ლუწი ნომრები მსროლელთა ხევიდან ღრმაღელის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის ლუწი ნომრები ღრმაღელის ქუჩიდან სტახანოვის ქუჩამდე, სტახანოვის ქუჩის კენტი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან ელმავლის 1-ლ შესახვევამდე, ელმავლის 1-ლი შესახვევის ლუწი ნომრები ქალაქის საზღვრიდან სტახანოვის ქუჩამდე, სტახანოვის ქუჩის ლუწი ნომრები ელმავლის 1-ლი შესახვევიდან ოქტომბრის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის კენტი ნომრები სტახანოვის ქუჩიდან ღრმაღელის ქუჩამდე, ავჭალის გზატკეცილის კენტი ნომრები ღრმაღელის ხევიდან მსროლელთა ხევამდე, მსროლელთა ხევის მარჯვენა მხარე ავჭალის გზატკეცილიდან რკინიგზის ხაზამდე, რკინიგზის ხაზი მსროლელთა ხევიდან ღრმაღელის ხევამდე, ღრმაღელის ხევი რკინიგზის ხაზიდან ავჭალის გზატკეცილამდე, ავჭალის გზატკეცილის კენტი ნომრები ღრმაღელის ხევიდან ლიახვის ქუჩამდე, ლიახვის ქუჩის კენტი ნომრები ავჭალის გზატკეცილიდან ჩარგალის ქუჩამდე, ჩარგალის ქუჩის ლუწი ნომრები ლიახვის ქუჩიდან მუხრანის ქუჩამდე, მუხრანის ქუჩის კენტი ნომრები ჩარგალის ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვარი მუხრანის ქუჩიდან მდინარე გლდანამდე.

4. **უდანოვის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ოქტომბრის ქ. № 189, მე-10 საშუალო სკოლა).

საზღვრები: კოლექტივიზაციის ქუჩის კენტი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან ინდუსტრიალიზაციის ქუჩამდე, ელმავლის ქუჩის კენტი ნომრები ინდუსტრიალიზაციის ქუჩიდან ელმავლის ქუჩის 1-ლ შესახვევამდე, ელმავლის ქუჩის 1-ლი შესახვევის კენტი ნომრები ელმავლის ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვარი ელმავლის ქუჩის 1-ლი შესახვევიდან ჭოლა ლომთათიძის ქუჩამდე, ჭოლა ლომთათიძის ქუჩის კენტი ნომრები დიდი ჯიხაიშის ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვარი ჭოლა ლომთათიძის ქუჩიდან ბენდელიანის ქუჩამდე, სანერგის ქუჩის ლუწი ნომრები ქალაქის საზღვრიდან ჩაპაევის ქუჩის შესახვევამდე, ჩაპაევის ქუჩის შესახვევის ლუწი ნომრები სანერგის ქუჩიდან საკაძის ქუჩამდე, საკაძის ქუჩის კენტი ნომრები ჩაპაევის ქუჩის შესახვევიდან სახარატო ქუჩამდე, სახარატო ქუჩის ლუწი ნომრები საკაძის ქუჩიდან ოქტომბრის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის ლუწი ნომრები სახარატო ქუჩიდან ტყიბულის ქუჩამდე, ტყიბულის ქუჩის ლუწი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან ლიახვის ქუჩამდე, ლიახვის ქუჩის კენტი ნომრები ტყიბულის ქუჩიდან ბენდელიანის ქუჩამდე, ბენდელიანის ქუჩის ლუწი ნომრები ლიახვის ქუჩიდან ჯავის ქუჩამდე, ჯავის ქუჩის კენტი ნომრები ბენდელიანის ქუჩიდან საზეინკლო ქუჩამდე, საზეინკლო ქუჩის ლუწი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან ხუთწლედის ქუჩამდე, ხუთწლედის ქუჩის კენტი ნომრები საზეინკლო ქუჩიდან საყვირის ქუჩამდე, საყვირის ქუჩის ლუწი ნომრები ხუთწლედის ქუჩიდან რკინიგზის ხაზამდე, რკინიგზის ხაზი საყვირის ქუჩიდან ზესტაფონის ქუჩამდე, ზესტაფონის ქუჩის კენტი ნომრები რკინიგზის ხაზიდან ტრაქტორის ქუჩამდე, ტრაქტორის ქუჩის ლუწი ნომრები ზესტაფონის ქუჩიდან ოქტომბრის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის კენტი ნომრები ტრაქტორის ქუჩიდან კოლექტივიზაციის ქუჩამდე.

5. **თბილისის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — საკაძის ქ. № 29, მე-9 საშუალო სკოლა).

საზღვრები: ბენდელიანის ქუჩის კენტი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან საკაძის ქუჩამდე, საკაძის ქუჩის კენტი ნომრები ბენდელიანის ქუჩიდან ჯავის ქუჩამდე, ჯავის ქუჩის კენტი ნომრები საკაძის ქუჩიდან რიონჰესის ქუჩამდე, რიონჰესის ქუჩის კენტი ნომრები ჯავის ქუჩიდან ზედაზენის ქუჩამდე, ზედაზენის ქუჩის კენტი ნომრები რიონჰესის ქუჩიდან დიდი ჯიხაიშის ქუჩამდე, დიდი ჯიხაიშის ქუჩის კენტი ნომრები ზედაზენის ქუჩიდან ჭოლა ლომთათიძის ქუჩამდე, ჭოლა ლომთათიძის ქუჩის კენტი ნომრები დიდი ჯიხაიშის ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვარი ჭოლა ლომთათიძის ქუჩიდან ბენდელიანის ქუჩამდე, სანერგის ქუჩის ლუწი ნომრები ქალაქის საზღვრიდან ჩაპაევის ქუჩის შესახვევამდე, ჩაპაევის ქუჩის შესახვევის ლუწი ნომრები სანერგის ქუჩიდან საკაძის ქუჩამდე, საკაძის ქუჩის კენტი ნომრები ჩაპაევის ქუჩის შესახვევიდან სახარატო ქუჩამდე, სახარატო ქუჩის ლუწი ნომრები საკაძის ქუჩიდან ოქტომბრის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის ლუწი ნომრები სახარატო ქუჩიდან ტყიბულის ქუჩამდე, ტყიბულის ქუჩის ლუწი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან ლიახვის ქუჩამდე, ლიახვის ქუჩის კენტი ნომრები ტყიბულის ქუჩიდან ბენდელიანის ქუჩამდე, ბენდელიანის ქუჩის ლუწი ნომრები ლიახვის ქუჩიდან ჯავის ქუჩამდე, ჯავის ქუჩის კენტი ნომრები ბენდელიანის ქუჩიდან საზეინკლო ქუჩამდე, საზეინკლო ქუჩის ლუწი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან ხუთწლედის ქუჩამდე, ხუთწლედის ქუჩის კენტი ნომრები საზეინკლო ქუჩიდან საყვირის ქუჩამდე, საყვირის ქუჩის ლუწი ნომრები ხუთწლედის ქუჩიდან რკინიგზის ხაზამდე, რკინიგზის ხაზი საყვირის ქუჩიდან ზესტაფონის ქუჩამდე, ზესტაფონის ქუჩის კენტი ნომრები რკინიგზის ხაზიდან ტრაქტორის ქუჩამდე, ტრაქტორის ქუჩის ლუწი ნომრები ზესტაფონის ქუჩიდან ოქტომბრის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის კენტი ნომრები ტრაქტორის ქუჩიდან კოლექტივიზაციის ქუჩამდე.

6. **ლენინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ოქტომბრის ქ. № 26, პლეხანოვის სახელობის კლუბი).

საზღვრები: ლოტკინის ქუჩის კენტი ნომრები ჩოდრიშვილის ქუჩის შესახვევიდან ექვთიმე სართანიას ქუჩამდე, ექვთიმე სართანიას ქუჩის ლუწი ნომრები ლოტკინის ქუჩიდან პიონერის ქუჩამდე, პიონერის ქუჩის კენტი ნომრები ექვთიმე სართანიას ქუჩიდან ნიკო კიკნაძის ქუჩამდე, ნიკო კიკნაძის ქუჩის ლუწი ნომრები ლოტკინის ქუჩიდან ჩხეიძის ქუჩამდე, ჩხეიძის ქუჩის ლუწი ნომრები ნიკო კიკნაძის ქუჩიდან ჩოდრიშვილის ქუჩამდე, ჩოდრიშვილის ქუჩის ლუწი ნომრები ჩხეიძის ქუჩიდან ოქტომბრის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის კენტი ნომრები ჩოდრიშვილის ქუჩიდან სახარატო ქუჩამდე.

8. **ლოტკინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ლოტკინის ქ. № 36, მე-8 საშუალო სკოლა).

საზღვრები: ქალაქის საზღვარი რაჭის ქუჩიდან ავიაქიმის ქუჩამდე, ავიაქიმის ქუჩის კენტი ნომრები ქალაქის საზღვრიდან ბენდელიანის ზემო დასახლებამდე, ბენდელიანის ზემო დასახლება ავიაქიმის ქუჩიდან გეგუთის ქუჩამდე, გეგუთის ქუჩა მთლიანად ბენდელიანის დასახლებიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვარი წერონისის ქუჩამდე, ქალაქის საზღვარი წერონისის ქუჩიდან კაჭრეთის ქუჩამდე, ქალაქის საზღვარი კაჭრეთის ქუჩიდან ხუდადოვის ქუჩამდე, ხუდადოვის ქუჩის ლუწი ნომრები ქალაქის საზღვრიდან პრავდის ქუჩამდე, პრავდის ქუჩის გასასვლელამდე, პრავდის ქუჩის გასასვლელის ლუწი ნომრები ხუდადოვის ქუჩიდან პრავდის ქუჩამდე, პრავდის ქუჩის კენტი ნომრები პრავდის ქუჩის გასასვლელიდან ვანო სტურუას ქუჩის შესახვევამდე, ვანო სტურუას ქუჩის შესახვევის კენტი ნომრები პრავდის ქუჩიდან ჭიაურელის ქუჩამდე, ჭიაურელის ქუჩის ლუწი ნომრები ვანო სტურუას ქუჩიდან ჭიაურელის ქუჩამდე, ჭიაურელის ქუჩის კენტი ნომრები ხუდადოვის ქუჩიდან ჭიაურელის ქუჩამდე, ხუდადოვის ქუჩის კენტი ნომრები ჭიაურელის ქუჩიდან ოქტომბრის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის ლუწი ნომრები ხუდადოვის ქუჩიდან ტყიბულის ქუჩამდე, ტყიბულის ქუჩის ლუწი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან ლიახვის ქუჩამდე, ლიახვის ქუჩის კენტი ნომრები ტყიბულის ქუჩიდან ბენდელიანის ქუჩამდე, ბენდელიანის ქუჩის ლუწი ნომრები ლიახვის ქუჩიდან ჯავის ქუჩამდე, ჯავის ქუჩის კენტი ნომრები ბენდელიანის ქუჩიდან საზეინკლო ქუჩამდე, საზეინკლო ქუჩის ლუწი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან ხუთწლედის ქუჩამდე, ხუთწლედის ქუჩის კენტი ნომრები საზეინკლო ქუჩიდან საყვირის ქუჩამდე, საყვირის ქუჩის ლუწი ნომრები ხუთწლედის ქუჩიდან რკინიგზის ხაზამდე, რკინიგზის ხაზი საყვირის ქუჩიდან ზესტაფონის ქუჩამდე, ზესტაფონის ქუჩის კენტი ნომრები რკინიგზის ხაზიდან ტრაქტორის ქუჩამდე, ტრაქტორის ქუჩის ლუწი ნომრები ზესტაფონის ქუჩიდან ოქტომბრის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის კენტი ნომრები ტრაქტორის ქუჩიდან კოლექტივიზაციის ქუჩამდე.

9. **კომკავშირის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ოქტომბრის ქუჩა № 19, მე-4 საშუალო სკოლა).

საზღვრები: ბრიგადირის ქუჩის კენტი ნომრები რკინიგზის ქუჩიდან თოფურაძის ქუჩამდე, თოფურაძის ქუჩის ლუწი ნომრები ბრიგადირის ქუჩიდან ხუდადოვის ქუჩამდე, ხუდადოვის ქუჩის კენტი ნომრები თოფურაძის ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე. ქალაქის საზღვარი სუნჟის ხევამდე, სუნჟის ხევის მარჯვენა მხარე ქალაქის საზღვრიდან ოქტომბრის ქუჩამდე, ოქტომბრის ქუჩის კენტი ნომრები სუნჟის ხევიდან ხუდადოვის ქუჩამდე, ხუდადოვის ქუჩის კენტი ნომრები ოქტომბრის ქუჩიდან რკინიგზის ქუჩამდე, რკინიგზის ქუჩის კენტი ნომრები ხუდადოვის ქუჩიდან ბრიგადირის ქუჩამდე.

სტალინის რაიონი

10. **დიდუბის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ა. წერეთლის პროსპექტი № 140, მაუდ-კამოლის კომბინატის კლუბი).

საზღვრები: რკინიგზის სადგურ დიდუბიდან მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის გაყოლებით დიდუბის ხევამდე, დიდუბის ხევი გასწვრივ ქუჩამდე, გასწვრივი ქუჩა დიდუბის ხევიდან დიდუბის მე-2-ა შესახვევამდე, დიდუბის მე-2-ა შესახვევი, აკაკი წერეთლის პროსპექტის ლუწი ნომრები № 76-დან სტანისლავსკის ქუჩამდე, სტანისლავსკის ქუჩა აკაკი წერეთლის პროსპექტიდან რკინიგზის ხაზამდე, რკინიგზის ხაზი სადგურ დიდუბემდე.

11. **ჭუთაისის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი № 56, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი).

საზღვრები: მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირი დიდუბის ხევიდან გასწვრივ ქუჩამდე, გასწვრივი ქუჩა № 13-დან ვაბუშტი ბაგრატიონის ქუჩამდე, ვაბუშტი ბაგრატიონის ქუჩა № 2-დან № 34-მდე ჩათვლით და № 52-დან № 68-მდე ჩათვლით. ქუთაისის ქუჩა №№ 23, 23-ა, 25 და № 28-დან № 38-მდე ჩათვლით. ქუთაისის შესახვევი № 5-დან № 9-მდე ჩათვლით, აკაკი წერეთლის პროსპექტი № 33-დან № 41-მდე ჩათვლით. ორჯონიკიძის ქუჩა № 121-დან № 125-მდე ჩათვლით. ოზურგეთის ქუჩა მთლიანად რკინიგზის ხაზამდე. რკინიგზის ხაზი სტანისლავსკის ქუჩამდე, სტანისლავსკის ქუჩა რკინიგზის ხაზიდან აკაკი წერეთლის პროსპექტამდე, აკაკი წერეთლის პროსპექტი № 63-დან № 89-მდე და № 68-დან № 74-მდე ჩათვლით, დიდუბის მე-2 შესახვევი მთლიანად, გასწვრივი ქუჩა დიდუბის ხევამდე, დიდუბის ხევი გასწვრივი ქუჩიდან მდინარე მტკვრამდე.

12. **ტელმანის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ორჯონიკიძის ქ. № 113, № 1 მაცივრის შენობა).

საზღვრები: ვაბუშტი ბაგრატიონის ქუჩა № 7-დან № 75-მდე, № 36-დან № 50-მდე და № 70-დან № 82-მდე ჩათვლით, დიდუბის ქუჩა № 2-დან № 8-მდე და № 1-დან № 7-მდე ჩათვლით, ქუთაისის ქუჩა № 27-დან № 35-მდე ჩათვლით, აკაკი წერეთლის პროსპექტი № 16-დან № 34-მდე და № 17-დან № 31-მდე ჩათვლით, რკინიგზის ხაზი ვაბუშტი ბაგრატიონის ქუჩიდან გორის ქუჩამდე, გორის ქუჩა № 5-დან № 27-მდე და № 8-დან № 34-მდე ჩათვლით, ორჯონიკიძის ქუჩა №№ 109, 119 და 94-დან № 114-მდე ჩათვლით, ტრამვაის შესახვევი № 5-დან № 13-მდე და № 6-დან № 14-მდე, გორის შესახვევი № 2-დან № 12-მდე ჩათვლით, ბათუმის ქუჩა № 13-დან № 31-მდე ჩათვლით.

13. **სტალინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — პლეხანოვის პროსპექტი № 184, მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შენობა).

საზღვრები: რკინიგზის ხაზი თბილისის სადგურის მოედნიდან ორჯონიკიძის ქუჩამდე, ორჯონიკიძის ქუჩა № 74-დან № 92-მდე, № 83-დან № 87-ბ-მდე და № 93-დან № 107-მდე ჩათვლით, ტრამვაის შესახვევი № 1-დან № 3-მდე და № 2-დან № 4-მდე ჩათვლით, გორის შესახვევი № 14- და № 1-დან № 7-მდე ჩათვლით, გორის ქუჩა № 2-დან № 6-მდე ჩათვლით, აკაკი წერეთლის პროსპექტი № 1-დან № 15-მდე და № 2-დან № 14-მდე ჩათვლით, ბათუმის ქუჩა № 34 დან № 46-მდე ჩათვლით, გასწვრივი ქუჩა № 3-დან № 11-მდე ჩათვლით, პლეხანოვის პროსპექტი №№ 176-დან № 184-მდე და № № 183, 185 და № 193-დან № 197-მდე ჩათვლით, ტელმანის ქუჩა № 3-დან № 13-მდე ჩათვლით, კლარა ცეტკინის ქუჩა № 135-დან № 139-ა-მდე, № 180-დან № 188-მდე ჩათვლით და № 200, ბორჯომის ქუჩა № 18, აბასთუმნის ქუჩის ლუწი ნომრები, ჩელიუსკინელების ქუჩა № 28-დან № 32-მდე ჩათვლით, გოგოლის ქუჩა № 59-დან № 65-მდე ჩათვლით.

14. **ჩელიუსკინელების საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ჩელიუსკინელების ქ. № 14. სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრანსპორტის სამმართველოს შენობა).

საზღვრები: პლეხანოვის პროსპექტი № 146-დან № 174-მდე, №139-დან №181-მდე და №187-დან №191-მდე ჩათვლით, ბორჯომის ქუჩა №2-დან №16-მდე და №1-დან №17-მდე ჩათვლით, კლარა ცეტკინის ქუჩა №133-მდე, №140-დან №178-მდე და №190-დან №198-მდე ჩათვლით, ორჯონიკიძის ქუჩა №64-დან №72-მდე, №79-დან №81-მდე და №89-დან №91-მდე ჩათვლით, ჩელიუსკინელების ქუჩა №2-დან № 26-მდე და № 5-დან № 33-მდე ჩათვლით, გოგოლის ქუჩა №№ 68 და 70, ხეჩუაშვილის ქუჩა №2-დან № 16-მდე ჩათვლით, კარგარეთლის ქუჩა №2-დან №6-მდე ჩათვლით, პასტერის ქუჩა № 6-დან №14-მდე ჩათვლით და №№5, 7 7-ა, კამოს ქუჩა №52-დან №84-მდე და №101-დან №117-ა-მდე ჩათვლით, კრილოვის ქუჩა №7-დან № 15-მდე ჩათვლით, უშანგი ჩხეიძის ქუჩა № 2-დან № 6-მდე ჩათვლით, მდინარე მტკვრის მარცხენა ტერასული ქუჩიდან გასწვრივ ქუჩამდე.

15. **25 თებერვლის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — პლეხანოვის პროსპექტი №127, ა.-კ. რკინიგზის ბავშვთა მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლი).

საზღვრები: უშანგი ჩხეიძის ქუჩა №2-დან №28-მდე და №3-დან № 29-მდე ჩათვლით, კამოს ქუჩა №46-დან №50-მდე და №69-დან №97-მდე ჩათვლით, კრილოვის ქუჩა №2-დან №12-მდე და №1-დან №5-მდე ჩათვლით, პასტერის ქუჩა №№ 1, 2, 3 და 4, პლეხანოვის პროსპექტი №№96, 144 და №87-დან № 137-მდე ჩათვლით, კარგარეთლის ქუჩა №1-დან №11-მდე და №8-დან №10-მდე ჩათვლით, კლარა ცეტკინის ქუჩა №109-დან №115-ბ-მდე და №124-დან №138-მდე ჩათვლით, კონსტიტუციის ქუჩა №3, 25 თებერვლის ქუჩა №1-დან №13-მდე და №2-დან №14-ბ-მდე ჩათვლით, შეროზიას ქუჩა №2-დან №6-მდე და №1-დან №5-მდე ჩათვლით, მარჯანიშვილის ქუჩა №2-დან №26-მდე ჩათვლით.

16. **ნინოშვილის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ნინოშვილის ქუჩა №39, მე-20 საშუალო სკოლა).

საზღვრები: კლარა ცეტკინის ქუჩა №81-დან №107-მდე, №117-დან № 119-მდე და № 100-დან № 122-მდე, შეროზიას ქუჩა № 7-დან №11-მდე და № 8-დან № 12-მდე ჩათვლით, 25 თებერვლის ქუჩა №15-დან №21-მდე და №16-დან №18-მდე ჩათვლით, კალინინის ქუჩა № 86-დან №120-მდე და №73-დან №109-მდე ჩათვლით, კონსტიტუციის ქუჩა №1, №5, №7-დან №17-მდე და № 2-დან №6-მდე ჩათვლით, ხეჩუაშვილის ქუჩა №3-დან №5-მდე ჩათვლით, ორჯონიკიძის ქუჩა №№33-ა, 33-ბ, №32-დან №52-მდე, №45-დან №59-მდე და №63-დან №65-მდე ჩათვლით, გოგოლის ქუჩა №12-დან №32-მდე და №17-დან №43-მდე ჩათვლით, ნინოშვილის ქუჩა №33-დან №57-მდე და №24-ბ-დან №60-მდე ჩათვლით.

17. **მარჯანიშვილის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — მარჯანიშვილის ქუჩა №44, სტალინის რაიონის სამხედრო კომისარიატის შენობა).

საზღვრები: მარჯანიშვილის ქუჩა №28-დან №46-მდე ჩათვლით, საბჭოს ქუჩა №48-დან №96-მდე ჩათვლით, ფიროსმანის ქუჩა მთლიანად, გოგოლის ქუჩა №1-დან №15-მდე, №2-დან №10-მდე, №34-დან №66-მდე და №45-დან №57-მდე ჩათვლით, კონსტიტუციის ქუჩა №19, ორჯონიკიძის ქუჩა №11-დან №31-მდე, №35-დან №43-მდე, №61, №67-დან №77-მდე და №18-დან №30-მდე, ნინოშვილის ქუჩა №19-დან №31-მდე და №24-ა. კალინინის ქუჩა № 69-დან №71-მდე და №80-დან №84-მდე ჩათვლით, კლარა ცეტკინის ქუჩა №73-დან №79-მდე და №92-დან №98-მდე ჩათვლით.

ოქტომბრის რაიონი

18. **ოქტომბრის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — კამოს ქუჩა № 8, „საქენერგოს“ თბილისის ელექტროქსელის შენობა).

საზღვრები: მარჯანიშვილის ქუჩის კენტი ნომრები № 5-დან № 37-ის ჩათვლით. კალინინის ქუჩის ლუწი ნომრები № 76-დან № 60-ის ჩათვლით. კლარა ცეტკინის ქუჩის № 70 და პლეხანოვის პროსპექტის № 59 სახლებთან გადაკვეთით. პლეხანოვის პროსპექტის ლუწი ნომრები № 54-დან № 40-ის ჩათვლით. გრინევიცკის ქუჩის ლუწი ნომრები № 8-დან № 4-ის ჩათვლით. მტკვრის ნაპირამდე გასვლით. მტკვრის მარცხენა სანაპირო სტალინის სახელობის ხიდამდე.

19. **მარქსის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — პლეხანოვის პროსპექტი № 5. სახელმწიფო დაწესებულების მუშაკთა კლუბი).

საზღვრები: გრინევიცკის ქუჩის კენტი ნომრები № 1/29-დან № 5/38-ის ჩათვლით. პლეხანოვის პროსპექტის კენტი ნომრები № 49/2-დან № 57-ის ჩათვლით, კლარა ცეტკინის ქუჩის გადაკვეთით № 68 და № 53 სახლებთან, კლარა ცეტკინის ქუჩის კენტი ნომრები № 53-დან № 41-ის ჩათვლით, კლარა ცეტკინის ქუჩის ლუწი ნომრები №50-დან №14/10-ის ჩათვლით, ნეკრასოვის ქუჩის ლუწი ნომრები № 8-დან კარლ მარქსის სახელობის ხიდამდე, კამოს ქუჩა კარლ მარქსის სახელობის ხიდიდან გრინევიცკის ქუჩის გადაკვეთამდე.

20. **მერკვილაძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ნინოშვილის ქუჩა № 8, სამკერვალო ფაბრიკა № 1).

საზღვრები: მარჯანიშვილის ქუჩის კენტი ნომრები № 39-№ 53-ის ჩათვლით, საბჭოს ქუჩის ლუწი ნომრები № 44-დან საბჭოს მოედნამდე, 9 იანვრის ქუჩის კენტი ნომრები № 1-დან № 13-ის ჩათვლით, 9 იანვრის ქუჩის შესახვევი №30 და კალანდარიშვილის ქუჩის №19 სახლებთან გადაკვეთით, არაგვისპირელის ჩიხის კენტი ნომრები №5-დან №1-ის ჩათვლით, არაგვისპირელის ქუჩის № 17, № 24 და ბოჭორიშვილის ქუჩის № 19 სახლებთან გადაკვეთით, ბოჭორიშვილის ქუჩის ლუწი ნომრები № 14-დან № 26-ის ჩათვლით, საბჭოს შესახვევის კენტი ნომრები № 17-დან № 11-ის ჩათვლით, გოცირიძის ქუჩის ლუწი ნომრები № 16-დან № 8-ის ჩათვლით. აჯამეთის ქუჩის ლუწი ნომრები № 8-დან № 2-ის ჩათვლით, საბჭოს ქუჩის № 12, კალინინის ქუჩის № 29 სახლებთან გადაკვეთით, ლენინაშენის ქუჩის ლუწი ნომრები № 10/46-დან № 6-ის ჩათვლით, მერკვილაძის ქუჩის № 23, № 12 და კალინინის ქუჩის № 58 სახლებთან გადაკვეთით, კალინინის ქუჩის კენტი ნომრები № 49-დან № 63/39-ის ჩათვლით.

21. **კლარა ცეტკინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — საბჭოს ქუჩა № 24, 38-ე საშუალო სკოლა).

საზღვრები: ლენინაშენის ქუჩის № 5/39 და № 7/44, კალინინის ქუჩა № 29, კუკიის შესახვევის № 3, საბჭოს ქუჩის № 33 სახლებთან გადაკვეთით, აჯამეთის ქუჩის კენტი ნომრები, გოცირიძის ქუჩის № 17, ბოჭორიშვილის ქუჩის № 12 და № 17, არაგვისპირელის ქუჩის № 22, ბოჭორიშვილის შესახვევის № 8/17, 9 იანვრის შესახვევის № 19 სახლებთან გადაკვეთით, 9 იანვრის შესახვევი № 25-დან რკინიგზის ხაზის გადაკვეთამდე, 9 იანვრის ქუჩის ლუწი ნომრები № 20-დან რკინიგზის ხაზის გადაკვეთამდე, რკინიგზის მარჯვენა მხარე, 9 იანვრის ქუჩის გადასასვლელიდან არაგვისპირელის ქუჩის № 9 სახლთან გადაკვეთით, არაგვისპირელის ქუჩის №№ 4, 8 წვმლის ქუჩის №12, ვეძათხევის ქუჩის № 9, გორკის ქუჩის № 11/2 სახლებთან გადაკვეთით, ჩუღურეთის ქუჩის ლუწი ნომრები № 2-დან № 8/8-ის ჩათვლით, თოიძის ქუჩის № 3, ზასულიჩის ქუჩის № 2, კალინინის მოედნის № 13, საბჭოს ქუჩის № 1 სახლებთან გადაკვეთით, ნეკრასოვის ქუჩა № 18-დან № 12-ის ჩათვლით და კლარა ცეტკინის ქუჩა № 9-დან № 39/5-ის ჩათვლით.

22. **ტოლსტოის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ხეთაგუროვის ქუჩა № 2, ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომი).

საზღვრები: პლატონის ქუჩა № 7, ტოლსტოის ქუჩა № 16, ნეკრასოვის ქუჩა № 1/21-დან № 11/14-ის ჩათვლით, კალინინის ქუჩა № 9-დან № 1-ის ჩათვლით, ხეთაგუროვის ქუჩის № 2, ზასულიჩის ქუჩის № 1 და № 2, თოიძის ქუჩის № 3 სახლებთან გადაკვეთით, ჩუღურეთის ქუჩა № 11-დან № 3-ის ჩათვლით, გორკის შესახვევის № 4, ვეძათხევის შესახვევის № 2 სახლებთან გადაკვეთით, წვმლის შესახვევი № 2-დან № 8-ის ჩათვლით, არაგვისპირელის ქუჩის № 9 სახლთან გადაკვეთით რკინიგზის ხაზამდე, რკინიგზის მარჯვენა მხარე, ჩუღურეთის ქუჩის № 18 და № 21, ჩუღურეთის პირველი შესახვევის № 10 და № 9, ჩუღურეთის მეორე შესახვევის № 10 და № 9, გამცემლიძის შესახვევის № 25 და № 16, თოიძის ქუჩის № 38 და № 31, ზასულიჩის ქუჩის № 32 და № 21, ხეთაგუროვის ქუჩის № 12 და № 11 სახლებთან გადაკვეთით, მარცხენა სანაპირო ქუჩა წყალსაწევის ქუჩიდან კარლ მარქსის სახელობის ხიდამდე.

23. **გორკის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — არსენალის მთა, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო).

საზღვრები: მტკვრის მარცხენა სანაპირო ქუჩიდან ხეთაგუროვის ქუჩის № 13 და № 14, ზასულიჩის ქუჩის № 23 და № 34, თოიძის ქუჩის № 33 და № 40, გამცემლიძის შესახვევის № 14 და № 23, ჩუღურეთის პირველი შესახვევის № 11 და № 12. ჩუღურეთის ქუჩის № 23 და № 20 სახლებთან გადაკვეთით რკინიგზის ხაზამდე, რკინიგზის ხაზი კიბალჩიჩის ხევამდე. ურიცკის ქუჩის ლუწი ნომრები № 64-დან № 30-ის ჩათვლით, ბალმაშევის შესახვევის ლუწი ნომრები № 12-დან № 2-ის ჩათვლით, მაცეხის ქუჩის № 14 სახლთან გადაკვეთით კიბალჩიჩის ხევამდე, კიბალჩიჩის ხევის № 17, კიბალჩიჩის ქუჩის № 5, კიბალჩიჩის აღმართის № 12, ხეთაგუროვის ქუჩის № 48 სახლებთან გადაკვეთა ბარათაშვილის სახელობის ხიდამდე, მტკვრის მარცხენა სანაპირო ბარათაშვილის სახელობის ხიდიდან წყალსაწევის ქუჩამდე.

24. **პეტრიწის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ხეთაგუროვის ქუჩა № 26, 33-ე საშუალო სკოლა).

საზღვრები: ბარათაშვილის სახელობის ხიდიდან ხეთაგუროვის ქუჩის № 48, კიბალჩიჩის აღმართის № 12, კიბალჩიჩის ქუჩის № 7, კიბალჩიჩის ხევის № 17 სახლებთან გადაკვეთით, ბალმაშევის შესახვევის კენტი ნომრები № 1-დან № 15-ის ჩათვლით ურიცკის ქუჩამდე, ურიცკის ქუჩის ლუწი ნომრები № 28-დან № 2-ის ჩათვლით, სამოქალაქო ქუჩის ლუწი ნომრები № 2-დან № 16-ის ჩათვლით ბარათაშვილის აღმართამდე, ბარათაშვილის აღმართის კენტი ნომრები, მტკვრის სანაპირო მეტეხის ხიდიდან ბარათაშვილის სახელობის ხიდამდე.

25. **შრომის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — საბ

ერთიანობის ბრძანებულება

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ

(გაგრძელება)

ჭუჩის 23-ე ჩიხის მარცხენა მხარე, ნინოშვილის ქუჩის მარცხენა მხარე 23-ე ჩიხიდან ლენინის პროსპექტამდე, ლენინის პროსპექტის მარცხენა მხარე ნინოშვილის ქუჩიდან წულუკიძის ქუჩამდე და გერისთავის ქუჩის მარცხენა მხარე.

214. **მაიაკოვსკის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სტალინის ქუჩა № 2, 1-ლი საშუალო სკოლა).

საზღვრები: თბილისის ქუჩის მარჯვენა მხარე დასაწყისიდან გოგებაშვილის ქუჩამდე, გოგებაშვილის ქუჩის მარცხენა მხარე, კიროვის ქუჩის მარჯვენა მხარე გოგებაშვილის ქუჩიდან ხახანაშვილის ქუჩამდე, ხახანაშვილის ქუჩის მარცხენა მხარე, ა. წერეთლის ქუჩის მარჯვენა მხარე ხახანაშვილის ქუჩიდან ბაქოს ქუჩამდე, ბაქოს ქუჩის მარჯვენა მხარე, მდინარე რიონის მარცხენა ნაპირი ბაქოს ქუჩიდან სტუდენტთა საერთო საცხოვრებლამდე — მაიაკოვსკის ქუჩაზე და მაიაკოვსკის ქუჩის მარცხენა მხარე.

215. **ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ჭავჭავაძის ქუჩა № 24, მეაბრეშუმეობის ზონალური სადგური).

საზღვრები: ქალაქის საზოგადო სოფელ ჯიმასტაროსთან ბუაჩიძის ქუჩის ბოლოდან მდინარე რიონამდე, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირი სოფელ ჯიმასტაროს საზღვრიდან თეთრ ხიდამდე, სტალინის ქუჩის მარჯვენა მხარე თეთრი ხიდიდან კიკვიძის ქუჩამდე, კიკვიძის ქუჩის მარჯვენა მხარე, ვაჟა-ფშაველას ქუჩის მარჯვენა მხარე კიკვიძის ქუჩიდან ბუაჩიძის ქუჩამდე, ბუაჩიძის ქუჩის მარჯვენა მხარე ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე.

216. **წულუკიძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — წულუკიძის ქუჩა № 22, მე-2 საშუალო სკოლა).

